F75 N1452

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 128 (10214) | ოთხშაბათი, 1 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
დ. გელაშვილი. — სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალების ვადამდე შესრულებისათვის (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. შ. ხიდაშელი. — ავამაღლოთ კადრების ეკონომიური განათლების დონე (მე-2 გვერდი).
კომუნიკე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ (მე-2 გვერდი).
მოსკოვიდან გაემგზავრა ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია (მე-2 გვერდი).
ბავშვთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. ნ. ჯავახიშვილი. — ბავშვების დასაცავად. გ. კასაბაშვილი. — შვილები. ა. ნახუცრიშვილი. — დედის სიხარული. ნ. გამცემლიძე. — მომავალი თაობის საკეთილდღეოდ (მე-3 გვერდი).
მ. სტროკოვი. — ბავშვების მდგომარეობა კაპიტალის ქვეყნებში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

Დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე მსოფლიოს ყველა კუთხეში ყოველწლიურად აღინიშნება როგორც მშვიდობის შენარჩუნებისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მთელი პროგრესული ძალების მობილიზაციის დღე.

ყოველი პატიოსანი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისათვის, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, არ არსებობს უფრო კეთილშობილური და წმიდა მიზანი, ვიდრე ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ვინაიდან ბავშვების სიცოცხლისა და ბედნიერების დაცვა ნიშნავს კაცობრიობის მომავლის დაცვასა და უზრუნველყოფას.

მომავალი თაობის სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს მთელ მსოფლიოში აღაფრთოვანებს დიადი მაგალითი ჩვენი უძლეველი სოციალისტური სახელმწიფოსი, სადაც ბავშვები გარემოსილი არიან კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის ყოველდღიური მზრუნველობით. მათ აღაფრთოვანებს ის უდიდესი ღონისძიებანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება იმისათვის, რომ ბავშვები — ჩვენი ცხოვრების ულამაზესი ყვავილები, ჩვენი მომავალი — კულტურულ და შეგნებულ, ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღ მოქალაქეებად აღიზარდონ.

ზრუნვა ბავშვებზე სოციალისტური წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობს. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა ქვეყანა სამოქალაქო ომის ხანძარში იყო გახვეული და ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის ბედი წყდებოდა, როცა ნახევრადმშიერი ხალხი, კომუნისტური პარტიისა და დიდი ლენინის მოწოდებით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს, სახელმწიფო მაინც პოულობდა დროს ეზრუნა ბავშვების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

მომავალი თაობის აღზრდისათვის, მათი განათლებისათვის საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად უდიდეს თანხებს ხარჯავს. მარტო მიმდინარე წელს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნებულია თითქმის 147 მილიარდი მანეთი. ჩვენი ქვეყანა დაფარულია სკოლების, საბავშვო ბაღების, ბაგებისა და სახლების, პიონერთა სასახლეების, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების, ბავშვთა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფართოესი ქსელით. უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირში 23.500 სკოლა აშენდა, მუშაობს 8 ათასზე მეტი დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, 3.500-ზე მეტი სარძევე სამზარეულო. ჩვენი ქვეყნის კურორტებზე მოწყობილ დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში ყოველწლიურად 5,5 მილიონზე მეტი ბავშვი ისვენებს და განიმტკიცებს ჯანმრთელობას. ლაღად იფურჩქნება და ვითარდება ბავშვთა ნიჭი და უნარი. სოციალისტური წყობილების მიერ შექმნილი ყველა სიკეთე, ყოველივე კარგი და მშვენიერი საბჭოთა ბავშვებს — მომავალ თაობას ემსახურება.

საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ, სახელმწიფოსა და მთელი ხალხის მუდმივი მზრუნველობით არიან გარემოსილი ბავშვები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ და სახალხო მთავრობამ ბავშვებს შეუქმნეს ნორმალური სწავლისა და ყოველმხრივი განვითარების ყველა პირობა. ახლა ჩინეთის დაწყებით და საშუალო სკოლებში 105 მილიონზე მეტი ბავშვი სწავლობს. განათლებულ, კულტურულ, ბედნიერ მოქალაქეებად იზრდებიან ბავშვები პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ყველა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანაში.

რა უზარმაზარი უფსკრულია ერთი მხრივ სოციალიზმისა და დემოკრატიის, ხოლო მეორე მხრივ კაპიტალისტური სამყაროს ბავშვებს შორის. შიმშილი, მათხოვრობა, აუტანელი შრომა, ავადმყოფობა — აი ხვედრი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა შვილებისა. კაპიტალისტებმა მათ წაართვეს ბავშვობის სიხარული. მშრომელთა შვილების ცხოვრების ისედაც მძიმე პირობები აუტანელი ხდება იმ გამალებული შეიარაღების გამო, რასაც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები და მთავრობები ეწევიან. კოლოსალური სამხედრო ბიუჯეტები უმძიმეს ტვირთად აწვება მშრომელებს, აღატაკებს და აჩანაგებს მათ. ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიარაღებაზე 150-ჯერ მეტი თანხები იხარჯება, ვიდრე სახალხო განათლებაზე. არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენ ბავშვები დასავლეთ გერმანიაში, სადაც ბონელი მმართველები, ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით, ქვეყნის გამალებული მილიტარიზაციის გეგმას ახორციელებენ.

მუდმივი გაჭირვება, შიმშილი, სამედიცინო დახმარების უქონლობა, მძიმე საბინაო პირობები უმაგალითოდ ზრდის ბავშვთა სიკვდილიანობას. ისეთ მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ყოველწლიურად 1 წლის ასაკამდე 100 ათასზე მეტი ბავშვი კვდება. თურქეთში 800 ახალდაბადებული ბავშვიდან ნახევარი იღუპება.

კაპიტალისტური სამყაროს 80 მილიონზე მეტი ბავშვი სიღატაკეში ცხოვრობს, ღია ცის ქვეშ იძინებს, ლუკმაპურს მათხოვრობით შოულობს. უდიდეს რიცხვს აღწევს ბავშვთა დანაშაულობანი, რასაც ცხოვრების მძიმე პირობებთან ერთად იწვევს კაპიტალისტური აღზრდის მახინჯი სისტემა. კაპიტალისტურ ქვეყნებში კინო, რადიო, სკოლა, პრესა გამოყენებულია ბავშვთა სულის დასამახინჯებლად და გასახრწნელად, ომის, მკვლელობის, მხეცობის, წამების პროპაგანდისათვის.

კაპიტალის სამყაროში, სადაც ყველაფერი კაპიტალისტთა მაქსიმალური მოგების მგლურ კანონს ექვემდებარება, ფართოდ არის დანერგილი მცირეწლოვანთა შრომა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებაში ჩაბმულ ბავშვთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. სასკოლო ასაკის ბავშვები შეძლებული კლასის ჯიბის გასასქელებლად 13-15 საათს მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში. კაპიტალისტურ სამყაროში აქამდე არსებობს ისეთი მახინჯი და სასირცხო მოვლენა, როგორიც არის ბავშვებით ვაჭრობა.

კიდევ უფრო მძიმეა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ბავშვების ცხოვრების პირობები. მათ არ იციან, რა არის ბავშვობის სიხარული და ბედნიერება.

ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების პოლიტიკას, გამალებულ შეიარაღებას, რასაც ეწევიან კაპიტალისტური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების კარნახითა და ხელმძღვანელობით, ბავშვებისათვის მოაქვს შიმშილი და სიკვდილი. ეს კარგად აქვთ შეგნებული მთელი მსოფლიოს მშრომელებს. ამიტომ არის, რომ ისინი მჭიდროდ ირაზმებიან მშვიდობის დასაცავად, ახალი ომის თავიდან ასაცილებლად.

თანდათან ფართოვდება და მტკიცდება, განუწყვეტლივ იკრებს ახალ ძალებს სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც სათავეში დიდი საბჭოთა კავშირი უდგას.

მოძრაობა ბავშვთა სიცოცხლის გადასარჩენად, რაც მთელი პროგრესული კაცობრიობის წმიდათაწმიდა და სისხლხორცეული საქმეა, სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს. თავისუფლებისმოყვარე ხალხები აღსავსე არიან გადაწყვეტილებით — ჩაშალონ იმპერიალისტების კაცთმოძულე და ავაზაკური გეგმები, ყოველი ღონისძიებით დაიცვან მშვიდობა, ბავშვების სიცოცხლე და ბედნიერება, განამტკიცონ ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა.

## საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა აირჩია საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი, მდივნად — მხატვარი ვ. ლემონჯავა.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან ამხანაგები ბ. გორდეზიანი, ვ. თოფურიძე, ვ. ლემონჯავა, ზ. მაისურაძე, ქ. სანაძე, რ. სტურუა, ა. ქუთათელაძე, თ. ღვინიაშვილი, უ. ჯაფარიძე. (საქდესი).

## სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის წესი

5 ივნისს დღის სამი საათიდან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სალაროებში დაიწყება გამოფენაზე შესასვლელი ბილეთების გაყიდვა. პავილიონების მუშაობის დრო დაწესებულია 9-დან 22 საათამდე.

(საქდესი).

# საბჭოთა საქართველოს დღე

★

### პარტიის მოწოდებით

**სტალინირი.** (საკ. კორ.). პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ სოფლისათვის ხელმძღვანელი კადრებით დახმარების შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებში. კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის სურვილი გამოთქვეს პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანმა სტალინირის მტს-ის ზონაში ა. მკრტიჩიანმა, პარტიის ლენინგორის რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში გ. დოლიშვილმა, პარტიის ჯავის რაიკომის მდივანმა ვ. ცხოვრებოვმა, პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანმა ზნაურის მტს-ის ზონაში ზ. დოკაძემ, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა რ. ალბოროვმა და სხვ.

### რუსთავის მეტალურგები სტალინოში

რუსთავი. (საკ. კორ.). გუშინ, 31 მაისს, რუსთავიდან ქალაქ სტალინოში გაემგზავრა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის დელეგაცია, რომელსაც დავალებული აქვს გააფორმოს და რუსთავის მეტალურგთა სახელით ხელი მოაწეროს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას ქალაქ სტალინოს სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივთან.

დელეგაციაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მ. წიტაიშვილი, საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი იმავე ქარხანაში ი. სალაძე, მარტენის საამქროს პარტბიუროს მდივანი ლ. ხარბედია, მილნამზადის საამქროს უფროსი გ. ქურდიანი, ამავე საამქროს უფროსი მვალცავი გ. რუხაძე, კოქსქიმიური საამქროს ოსტატი გ. ჩიქოვანი, წვრილსორტული საამქროს ტექნიკური კონტროლის უფროსი მ. დუდკინი, მარტენის საამქროს მეფოლადე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. სამცუაე, ბლუმინგის საამქროს უფროსი ოპერატორი ა. გზირიშვილი და საბრძმედე საამქროს ოსტატი მ. გორდაშვილი.

დელეგაციას სტალინოელი თანამოძმეებისათვის საჩუქრად მიაქვს რუსთავში პირველად მიღებული თუჯისაგან ჩამოსხმული ბარელიეფი წარწერით: „პირველი ქართული თუჯი სტალინოელ მეტალურგებს რუსთავის მეტალურგებისაგან“.

### სავაჭრო ქსელის გაფართოება

ხობი. (საკ. კორ.). სულ უფრო ფართოვდება რაიონის სავაჭრო ქსელი. გასულ წელს ბევრი ახალი მაღაზია გაიხსნა როგორც ცენტრში, ისე სოფლად.

ამას წინათ მუშათა კოოპერატივმა საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის მუშებისათვის გახსნა ახალი მაღაზია, რომელიც უზრუნველყოფილია სამრეწველო და სასურსათო საქონლით. მაღაზიებისათვის კეთილმოწყობილი, კაპიტალური შენობები ააგეს სოფელ ნოჯიხევში, შუა ქვალონსა და ბიაში.

### სკოლის ახალი შენობა

ზნაური. (საკ. კორ.). დამთავრდა სოფელ ავნევის საშუალო სკოლის მშენებლობა. ავნევის ახალგაზრდობამ მიიღო ახალი, კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა. იგი ერთ-ერთი საუკეთესო შენობაა რესპუბლიკის სოფლის სკოლებს შორის.

კოლმეურნეებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ ზეიმით აღნიშნეს ახალი საჩუქრის მიღება.



ბედნიერი ბავშვობა — ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ნიკოლოზ ტიხონოვი

### ქვეყნად ყოველი სიხარულისთვის

ქვეყნის ყოველი სიამის და შვების სახელით
კონგრესს ეწვივნენ ყვავილები ხალხთა ოცნების.
მოვიდნენ, რათა გაეფანტათ ქვეყნად ნაღველი,
მოვიდნენ როგორც გაზაფხულის მახარობლები.
შიგნით მტრედები ფარფატებდნენ ბროლის მინაში,
გარეთ ქალაქი ჩანდა ძველი, სახელგანთქმული,
იდგა გოგონა მაგიდაზე ხალხის წინაშე,
ყვავილებს შორის, და ღელავდა მნახველთა გული.
არის შემთხვევა: ურთულესი და აზრით სავსე
დიდი მოვლენა სტრიქონივით თვალწინ გაივლის.
მე ვნახე — როგორ ნაზად იდო ჩინელის მხარზე
ფუნთუშა ხელი ვარშაველი ანცი ყმაწვილის.
თვალს უსწორებდა ხალხებს, ხელში თაიგულებით,
სამყარო გრძნობდა ამ ნათელი დარბაზის სუნთქვას,
თითქოს უსმენდნენ მილიონთა ლაღი გულები
იმას, რაც ჩვენთვის ამ პატარას ჯერ არც კი უთქვამს.
ანელი, ჯეკი, ჰედა ჰქვია მას თუ სვეტლანა,
ყველა სახელი მას ეკუთვნის, მისი ფიქრია;
იმის მშვენიერ თვალებში ჩანს ყველა ქვეყანა,
და ყველა გზები მის წინაშე დღეს თავს იყრიან.
ეს მარტო ბავშვი კი არ არის — ნორჩი და სალი,
სიცოცხლის ლამპრად რომ კონგრესის თვალწინ აინთო:
კაცობრიობის მომავალი ამ ბავშვის სახით
დგას ტრიბუნაზე და მოითხოვს — დამიცავითო!

თარგმნა აკაკი ჭკადუამ.

### ბათუმის მარკის მანქანები

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ახლახან მიიღო საპატიო დაკვეთა — დაამზადოს მანქანები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის. შამპანური ღვინის წარმოებისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობის კომპლექტი ქარხანამ უნდა დაამზადოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გასაგზავნად. საცომავი და ცომდამნაწილებელი ავტომატები უნდა დაამზადონ და გაუგზავნონ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ბათუმელ მანქანათმშენებელთა გადაწყვეტილებაა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ყველა დაკვეთა.

### გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოება

**მახარაძე.** (საკ. კორ.). სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეები და ორგანიზაციები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1954 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

ამას წინათ მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. საბაშვილმა დაჯილდოებულ ამხანაგებს გადასცა დიპლომები და მედლები. მეორე ხარისხის დიპლომი გადაეცათ ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს და ურეკის ციტრუსოვანთა სახელმწიფო სანერგეს.

ოქროს პატარა მედლით დაჯილდოებული არიან ინსტიტუტის დირექტორი ი. გამყრელიძე, მუშაკები მ. დარასელია, ქ. ბახტაძე და ურეკის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი შ. გოგუაძე. ვერცხლის დიდი მედალი მიიღო ექვსმა, ხოლო ვერცხლის პატარა მედალი ხუთმა კაცმა.

სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული არიან სოციალისტური შრომის გმირი, ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე დ. ტაკიძე, მახარაძის ბავშვთა სახლის დირექტორი უ. ქეიშვილი და სხვ.

მახარაძის რაიონი წელსაც ფართო ჩვენებით მიდის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

★

### პარტიის მოწოდებით

**ხაშური.** (საკ. კორ.). რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში მრავალი განცხადება შედის სოფლად ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის შესახებ, მსურველთა შორის არიან: პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში პ. კუბლაშვილი, დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ხაშურის რაიონში ნ. გოგოლაძე, ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების გამგე ინჟინერი ა. ლომიძე, საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი გ. ნოზაძე, სურამის კირის ქარხნის კარიერის გამგე გ. მაღლაკელიძე, საორთქლმავლო დეპოს ინჟინერი გ. ბარბაქაძე და სხვები.

### ახალი უხვმოსავლიანი მარცვლეულის ჯიშები

მცხეთა. (საკ. კორ.). ნატახტარის სახელმწიფო მარცვლეული კულტურების სასელექციო სადგურის კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ხორბლისა და სიმინდის ახალი სელექციური ჯიშების გამოსაყვანად.

სადგურმა გამოიყვანა ხორბლის სელექციური ჯიშები „გამარჯვება“, „მცხეთურა“, „მოწინავე“ და სხვ. სადგურის საცდელ ნაკვეთზე ხორბლის ამ ახალმა ჯიშებმა საშუალოდ ჰექტარზე 33-42 ცენტნერი მოსავალი მოგვცა.

უხვი მოსავლის გარდა, ეს ჯიშები ხასიათდებიან დაავადებათა გამძლეობითა და ჩაწოლის წინააღმდეგობით.

ახალი უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშები საწარმოო პირობებში მათი გამოცდის მიზნით დათესილია მცხეთის რაიონის ოთხ კოლმეურნეობაში — წილკანში, მისაქციელში, ნატახტარსა და ქსოვრისში, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

სასელექციო სადგურის მიერ გამოყვანილია აგრეთვე სიმინდის ახალი ჰიბრიდული ჯიში „ქართული-1“, რომელიც დარაიონებულ სიმინდის ჯიშთან „ქართული კრუგი“ შედარებით ჰექტარზე 10-12 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა. ამ გაზაფხულზე სიმინდის ეს ჯიში საწარმოო ცდის მიზნით დათესილია მისაქციელის, ნატახტარის და წილკნის კოლმეურნეობებში.

### ავტომანქანები კოლმეურნეობებს

წალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები მეცხოველეობის პროდუქტების ნამეტის ჩაბარებისათვის სახელმწიფოსაგან მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანებს იღებენ.

სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან დიდი გადაჭარბებით ჩააბარა სახელმწიფოს ხორცი. ამისათვის მან მიიღო ახალი მსუბუქი ავტომანქანა „ზიმი“.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის ჩაბარებისათვის სახელმწიფოსაგან მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები მიიღეს რაიონის სხვა კოლმეურნეობებმაც.

### მწვანე კვადრატები

ბოლნისი. (საკ. კორ.). ბოლნისის მტს-ი შეუდგა სიმინდის პირველ კულტივაციას. კარგად მუშაობს ის ბრიგადა, რომელსაც გ. ხურციძე ხელმძღვანელობს. კვადრატულ-ბუდობრივად ნათესს ორი მიმართულებით ამუშავებენ.

მწვანე კვადრატების საუკეთესო ოსტატების სახელი დაიმსახურეს ტრაქტორისტებმა დ. დავიდოვმა, დ. გუნაშოვმა, გ. მჭედლიძემ.



მარნეულის სარწყავი სისტემა ერთ-ერთი უდიდესი სისტემაა, რომელიც აგებულია მდინარე ხრამზე. იგი საქართველოს ხუთ რაიონში რწყავს 36.000 ჰექტარზე მეტ მიწას. სისტემის საერთო სიგრძე 40 კილომეტრს აღემატება. აპრილში საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა სათავის ახალი ნაგებობა. სურათებზე: 1. განმანაწილებელი რაბი ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის და კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ მინდვრებზე. 2. მდინარე ხრამის მარნეულის სარწყავი სისტემის სათავის ახალი ნაგებობის საერთო ხედი. 3. მარცვლეულის და ბოსტნეული კულტურების მორწყვა მარნეულის რაიონის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

პარტიული ცხოვრება

# ავამაღლოთ კადრების ეკონომიური განათლების დონე

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი უკანასკნელ ხანებში ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების, კომუნისტების ეკონომიური განათლების დონის ამაღლებისათვის. პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს გამოშვებასთან დაკავშირებით შესამჩნევად გაძლიერდა კომუნისტთა ინტერესი ეკონომიური მეცნიერების შესწავლისადმი. 160-ზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი დამოუკიდებლად სწავლობს პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციასთან სამი წლის განმავლობაში მუშაობდა პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარი, რომელშიც ჩაბმული იყო 32 კაცი, ძირითადად საწარმოთა ხელმძღვანელები. სემინარმა კარგი შედეგებით დაასრულა თავისი მუშაობა და ახლა ისინი, ვინც სემინარში მეცადინეობდნენ, დამოუკიდებლად განაგრძობენ ეკონომიური თეორიის შესწავლას, თანაც უკეთ ხელმძღვანელობენ საწარმოებს.

საქალაქო კომიტეტი და მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ წარმოების ეკონომიკის საკითხების შესწავლას. საქალაქო კომიტეტთან არსებულ სამწლიან საღამოს პარტიულ სკოლაში 20 კაცი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივიდან სწავლობს სამრეწველო წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის საკითხებს. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის, სტალინის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა პარტიულ ორგანიზაციებთან საქალაქო კომიტეტის მიერ შექმნილია სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი 5 სემინარი, რომლებშიც ჩაბმულია 119 პარტიული და სამეურნეო მუშაკი, წარმოების ნოვატორები. ამ სემინარების მუშაობის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ისინი ნამდვილად ეხმარებიან კადრებს უკეთ შეისწავლონ წარმოების ეკონომიკა.

სტალინის სახელობის მაღაროში სამი წელია მუშაობს სოციალისტური ეკონომიკის საკითხების შემსწავლელი თეორიული სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟინერი ლ. გოშხოთელიანი. სემინარში 27 კაცი მეცადინეობს. ისინი არიან საწარმოო უბნების გამგეები, დამხმარე საწარმოთა ხელმძღვანელები, ცვლის უფროსები. სემინარზე მსმენელთა გამოსვლები ყოველთვის იწვევს გაცხოველებულ დისკუსიას, აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლას. მიმდინარე სასწავლო წელს სემინარის მსმენელებმა ლ. ჩხაიძემ, ვ. წერეთელმა, გ. ხვედელიძემ, დ. კიკნაძემ უკვე წაიკითხეს რეფერატები ისეთ თემებზე, როგორიც არის „გრაფიკის მიხედვით რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა და ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის“, „თვითღირებულება საწარმოს მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია“, „ტექნიკური დანორმვისა და ხელფასის ორგანიზაცია სოციალისტურ წარმოებაში“ და სხვ. ამავე მაღაროს მეოთხე საწარმოო უბნის ცვლის უფროსმა ღ. აბაშიძემ სემინარზე წაიკითხა რეფერატი თემაზე „შრომის ნაყოფიერების ამაღლება და მოწინავე გამოცდილების დანერგვა საწარმოებში“.

კადრების ეკონომიურ სწავლებას დიდ ყურადღებას აქცევს ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც ეკონომიური საკითხების შესწავლის სურვილი გაუღვივა მაღაროს კოლექტივის უმრავლესობას. შექმნილია სოციალისტური ეკონომიკის შემსწავლელი სამი სემინარი 69 კაცის შემადგენლობით, ტექნიკური სწავლების რამდენიმე სკოლა და წრე. კადრების ეკონომიური სწავლება კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მაღაროს მუშაობაზე, წარმოების მოწინავე მეთოდების დანერგვაზე.

ეკონომიური თეორიის ცოდნა მაღაროს სამეურნეო მუშაკებს ეხმარება უფრო ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, მეტი სიახლე შეიტანონ მუშაობაში, უკეთესად გამოიყენონ შიდასაწარმოო რეზერვები.

კოროხნალის მაღაროში შექმნილი ეკონომიური სემინარის მონაწილეებმა გ. გაფრინდაშვილმა, ი. ბაირამაშვილმა, გ. ჩახნიძემ უკანასკნელ ხანებში მოამზადეს რეფერატები სოციალისტური ეკონომიკის საკითხებზე. ეკონომიური ცოდნით შეიარაღებულმა ინჟინერმა გ. დეკანოზიშვილმა (სემინარის ხელმძღვანელი), ბ. ღონღაძემ და სხვებმა ნოვატორ მუშებთან მ. გელაშვილთან, გ. გრძელიშვილთან და ლ. შუბითიძესთან ერთად შეიმუშავეს ბურღვა-აფეთქების ოპტიმალური პირობების დადგენის სქემა, რამაც საგრძნობლად შეამცირა ფეთქებადი ნივთიერების ხარჯვა, აამაღლა ამფეთქებელთა შრომის ნაყოფიერება.

უკანასკნელ ხანებში ჭიათურაში აღიზარდა მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები. ღრმად სწავლობენ რა წარმოების ეკონომიკას და ტექნიკას, ეს კადრები განუწყვეტლივ აუმჯობესებენ მუშაობას, აღწევენ ახალ წარმატებებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და საწარმოს რიტმული, შეწყობილი მუშაობისათვის ბრძოლაში. ჭიათურის მარგანეცის აუზში ცნობილია მოწინავე მაღაროელების, შრომის ნოვატორების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ტ. ფოფხაძის, მარგანეცის ამწმენდების პ. მიროტაძის და კ. ღავთაძის, მბურღავების კ. ნადირაძის და გ. თოდაძის, ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატების ი. კაპანაძის და პ. ზარბაქაძის, მშენებლების ს. კოშაძის, კ. ნებულიშვილის და სხვათა სახელები.

კადრების ეკონომიური ცოდნის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლექციური პროპაგანდა. საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ძალებით უკანასკნელი 6 თვის მანძილზე ქალაქის საწარმოებში პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალისტური ეკონომიკის საკითხებზე წაკითხულია ათობით ლექცია. ეკონომიურ საკითხებზე ლექციებს მაღალხარისხოვნად კითხულობენ ლექტორები ვ. ციცვიძე, დ. გელაშვილი, ა. გავაშელი, გ. კირკიტაძე და ქ. ჯინჭველაშვილი.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო პარტორგანიზაციას კადრების ეკონომიური განათლების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ჭიათურის სამშენებლო სამმართველოს, ვოროშილოვის სახელობის მაღაროს, მარგანტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციები სუსტად ეხმარებიან ეკონომიური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს. დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე ეწყობა მეცადინეობა ლენინის სახელობის მაღაროს ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკასთან არსებულ ეკონომიურ სემინარში (ხელმძღვანელი ზ. ციცვიძე). ნაკლოვანებებია მუშათა საწარმოო-ტექნიკური სწავლების საქმეშიც. მუშათა კლუბები, ტექნიკური კაბინეტები, წითელი კუთხეები ჯერ კიდევ არ გადაქცეულან მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების, კადრების დაოსტატების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების კერად.

საქალაქო გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი“ სრულიად არადამაკმაყოფილებლად აშუქებს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას კადრების საწარმოო-ტექნიკური სწავლების დარგში, იმას, თუ ცალკეული კომუნისტები როგორ მუშაობენ თავიანთი ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ჯერ კიდევ არასაკმაოა ლექციების რაოდენობა პოლიტიკურ ეკონომიაში. ამ მხრივ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფს, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენს ქალაქში მოეწყო ლექციების ციკლი პოლიტიკურ ეკონომიაში, მაგრამ დღემდე ეს არ განხორციელებულა.

გარკვეული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობასაც, რომელიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს იმისათვის, რომ ქართულ ენაზე გამოიცეს ლიტერატურა ეკონომიკის საკითხებზე, რომელზეც ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება.

ამჟამად ქალაქის პარტიული ორგანიზაციები აჯამებენ სასწავლო წლის შედეგებს პარტიული განათლების სისტემაში, ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს პოლიტიკური ეკონომიისა და ეკონომიკის საკითხების შესწავლის ორგანიზაციაში. პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი მომავალ სასწავლო წელს უფრო ეფექტურ და საქმიან ღონისძიებებს განახორციელებს კადრების ეკონომიური განათლების დონის ამაღლებისათვის.

**შ. ხიდაშელი,**
საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი.



წულუკიძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მოწინავე მუშამ ე. თვალთვაძემ. **სურათზე:** ე. თვალთვაძე მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## მუშები წარმოების მეთაურებად დაწინაურდნენ

ტყიბული. (საქ. კორ.). ქვანახშირის მრეწველობის რიგითი მუშაკები დიდი მონდომებით ეუფლებიან ცოდნას. მრავალი მეშახტე ტექნიკური სწავლების სხვადასხვა კურსებზე იმაღლებს საწარმოო კვალიფიკაციას, დაუსწრებლად იღებს განათლებას რესპუბლიკის ტექნიკუმებსა და ინსტიტუტებში. ისინი შეძენილ ცოდნას უნარიანად იყენებენ პრაქტიკაში, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ბაზაზე შექმნილი სასწავლო-საკურსო კომბინატი მეშახტეთა კადრების სამჭედლოა. აქ ყოველწლიურად სამასზე მეტი მუშა იმაღლებს ტექნიკური ცოდნის დონეს, იძენს ახალ პროფესიას.

ამას წინათ აქ ოცდაათამდე გამოცდილ მეშახტეს გადაეცა სამთო საქმის წარმოების უფლების დიპლომი. ბევრი მათგანი ამჟამად წარმოების მეთაურია და დაკისრებულ მოვალეობას უნარიანად ართმევს თავს. ბ. მერკვილაძე და მ. გაბრიაძე სტალინის სახელობის შახტში საექსპლოატაციო ცვლებს ხელმძღვანელობენ. ასევე წარმოების მეთაურებად მუშაობენ სასწავლო-საკურსო კომბინატის კურსდამთავრებულები დ. ფხაკაძე და გ. ქარქაშაძე.

## აგიტმხატვრული ბრიგადები მწყემსებთან

თბილისის კულტურის ცენტრალურმა სახლმა ამ დღეებში გამართა კონცერტი საზაფხულო საძოვრებზე მიმავალი მწყემსებისათვის.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს კულტურის სახლის თვითმოქმედი მუსიკალური, ქორეოგრაფიული, ინსტრუმენტალური და დრამატული წრის წევრებმა. მათ მომსახურება გაუწიეს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის, წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის და სოფელ ოზაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობების მეცხოველეობის მუშაკებს. კულტურის სახლი მწყემსებისათვის კიდევ გამართავს რამდენიმე კონცერტს.

# კომუნიკე

## საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ

1955 წლის 29 და 30 მაისს გრძელდებოდა მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დელეგაციასა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის, რომლებიც კუნძულ ბრიონზე ჩავიდნენ.

მოლაპარაკების დროს გრძელდებოდა, ურთიერთგაგების ვითარებაში, აზრთა გაცვლა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხებზე.

29 მაისს სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციამ იუგოსლავიის დელეგაციის წევრებთან ერთად მოიარა კუნძული ბრიონი და ეცნობოდა მის ღირსშესანიშნაობებს.

30 მაისს მოხდა საბჭოთა დელეგაციის წევრთა და მის მრჩეველთა შეხვედრები იუგოსლავიის დელეგაციის წევრებთან და მის მრჩევლებთან ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე.

ამავე დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი ი. ბროზ-ტიტოსთან ერთად კატერ „პოდგორკით“ ეწვიენ ნავსადგურ პულასა და ნავსადგურ როვინს ისტრიის სანაპიროზე.

ორივე დელეგაციის წევრები და მათი მრჩევლები იყვნენ საუზმეზე და სადილზე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ ი. ბროზ-ტიტოსთან.

31 მაისს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გაემგზავრება კუნძულ ბრიონიდან და განაგრძობს მოგზაურობას იუგოსლავიაში.

## ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაურის კრიშნამურტი რაოს განცხადება

საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ ინდოეთის პარლამენტის დეპუტატთა დელეგაციის მეთაურმა პარლამენტის შტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კრიშნამურტი რაომ სააგენტოს კორესპონდენტის მეშვეობით პრესისათვის გააკეთა შემდეგი განცხადება:

საბჭოთა კავშირიდან ჩვენი გამგზავრების მომენტში ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის დავალებით მადლობას მოვახსენებ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს თქვენს ქვეყანაში მოწვევისათვის და იმისათვის, რომ ჩვენ საშუალება მოგვეცა გვენახა და გაგვეცნო სსრ კავშირი და მისი ხალხი. არაფერი არ არის ისე სასარგებლო ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, როგორც პირადი კონტაქტი და დაკვირვება. ჩვენ ვნახეთ ყველაფერი, რის ნახვაც გვსურდა. ინდოეთი აშენებს ეკონომიურ ცხოვრებას თავისი ნიმუშის მიხედვით. მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს საბჭოთა კავშირისაგან.

შემდეგ კრიშნამურტი რაომ განცხადებაში აღნიშნა, რომ, თუმცა საბჭოთა კავშირმა გამოიარა ორი მსოფლიო ომი, მისი მიღწევები არაჩვეულებრივია, სასიამოვნო იყო, რომ ვნახეთ საბჭოთა ხალხის უდიდესი მისწრაფება მშვიდობისადმი. ჩვენ მადლობას ვუძღვნით პრეზიდენტს კ. ე. ვოროშილოვს, აგრეთვე ვ. მ. მოლოტოვსა და გ. კ. ჟუკოვს, რომლებმაც პირობა მოგვცეს, რომ საბჭოთა კავშირი სავსებით დაუჭერს მხარს ხუთ პრინციპს, რომლებიც პრემიერ-მინისტრმა ნერუმ წამოაყენა.

ჩვენ მიგვყვება უბედნიერესი მოგონება მოგზაურობის შესახებ. სადაც უნდა ვყოფილიყავით, ჩვენ გვხვდებოდნენ მეგობრულად, დიდი სიყვარულით, ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის ხალხს ყოველგვარ კეთილდღეობასა და გამარჯვებას მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჩამოსვლა განამტკიცებს მეგობრობას ჩვენს ქვეყნებს შორის და ხელს შეუწყობს ხალხთა კიდევ უკეთეს ურთიერთგაგებას, სამსახურს გაუწევს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებას. (საკდესი).

## მოსკოვიდან გაემგზავრა ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია

საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით სამი კვირის განმავლობაში სტუმრად იყო ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის შტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კრიშნამურტი რაოს მეთაურობით.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დელეგაციის წევრებმა იმოგზაურეს მოკავშირე რესპუბლიკებში და ჩვენი ქვეყნის ქალაქებში. მოსკოვის გარდა ისინი იყვნენ სტალინგრადში, ალმა-ატაში, სტალინაბადში, თბილისში, სოჭში, კიევსა და ლენინგრადში. ინდოეთის პარლამენტის დეპუტატები გაეცნენ სამრეწველო საწარმოთა მუშაობას, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, სასწავლებელთა საქმიანობას, დაათვალიერეს საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, ქალაქების ღირსშესანიშნაობანი.

30 მაისს ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია მოსკოვიდან თვითმფრინავით გაემგზავრა იუგოსლავიაში.

ცენტრალურ აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გააცილეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. პ. ტარასოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ა. ლებედევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ს. ა. გერასიმოვამ, ი. ი. დუდინმა, ტ. მ. ზუევამ, ზ. ა. ლებედევამ, ი. კ. ლებედევამ, ხ. მავლიანოვამ, დ. სიტნიაზოვამ, ნ. ტ. ციცინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილემ ა. თ. გორკინმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ნ. კაპუსტინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელმა მუშაკებმა და პრესის წარმომადგენლებმა.

დელეგაციასთან გამოთხოვებისას მიმავალთ მოკლე სიტყვით მიმართა მ. პ. ტარასოვმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა კრიშნამურტი რაომ, — საბჭოთა კავშირში სამი კვირის ყოფნის დროს, — თქვა მან, — ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ საბჭოთა სახელმწიფოზე, მის ხალხზე და ბევრი მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ. ჩვენი ვიზიტი განამტკიცებს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ურთიერთობას.

ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია გააცილეს ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონმა, აგრეთვე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ბ. ოსოლნიკმა. (საკდესი).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალების ვადამდე შესრულებისათვის

დიდი აღმავლობაა ამჟამად თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს ახალი ძალები შემატა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებისა და მტს-ების წინაშე იდგა საბრძოლო ამოცანა — 1954 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაედიდებინათ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი, მაღალხარისხოვნად ჩაეტარებინათ თესვა, ახალი მიღწევები მოეპოვებინათ საზოგადოებრივ მეცხოველეობაში.

ამოცანები, რომლებიც უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე იდგა რაიონის მშრომელთა წინაშე, წარმატებით შესრულდა.

საგაზაფხულო სამუშაოები უფრო ორგანიზებულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე განხორციელდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ძვირფასი მარცვლეული და საკვები კულტურის — სიმინდის ნათესების ზრდას და კვადრატულ-ბუდობრივად თესვას. გასულ წელთან შედარებით კოლმეურნეობებმა დათესეს 900 ჰექტარით მეტი სიმინდი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 634 ჰექტარი ანუ მთელი ფართობის ნახევარზე მეტი. მეორე მოსავლის მიღების მიზნით მიმდინარე წელს ნაწვერალზე დაითესება 300 ჰექტარი სიმინდი. დროულად დავთესეთ აგრეთვე გაზაფხულის ქერი, მზესუმზირა, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები. მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით მიმდინარე წელს 1.000 ჰექტარით მეტი საკვები კულტურები დავთესეთ, ვიდრე გასულ წელს. დიდი სამუშაოები შესრულდა მებოსტნეობაში, რომელიც რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს. წელს დაითესება და დაირგვება 1.150 ჰექტარი ბოსტნეული, ანუ 150 ჰექტარით იმაზე მეტი, რაც შარშან გეგმით იყო გათვალისწინებული.

ქალაქ თბილისის საშეფო საწარმოებისა და ორგანიზაციების (თბილისის საქალაქო საბჭოს საგზაო სამმართველო, გარეუბნის რაიაღმასკომის სარემონტო კანტორა, მაუდ-კამვოლის კომბინატი და სხვ.) დახმარებით რაიონის ოთხ კოლმეურნეობაში აშენდა 8 ათასი კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობის სათბურები. გასული წლის ნოემბრიდან კოლმეურნეობებს ყოველდღიურად დიდი რაოდენობით გააქვთ დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად სათბურებში მოყვანილი ფართო ასორტიმენტის ბოსტნეული.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა გაცილებით მეტი საადრეო ბოსტნეული ჩააბარეს სახელმწიფოს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. 20 მაისისათვის ჩაბარებული იყო 227 ტონა ბოსტნეული, მაშინ როცა გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის ჩაბარებული იყო მხოლოდ 88 ტონა ბოსტნეული.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სასათბურე მეურნეობაში, რომელიც ჩვენთან შედარებით ახალ საქმეს წარმოადგენს, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ეს პირველ რიგში შეეხება სასათბურე მეურნეობის ცუდ ორგანიზაციას, რაც გავლენას ახდენს თბილისის მოსახლეობის ადრეული ბოსტნეულითა და მწვანილით მომარაგებაზე.

ზოგან არასახარბიელო მდგომარეობაა მიმდინარე სამუშაოებშიც. მთელ რიგ კოლმეურნეობებში (დიღომი, ავჭალა, მარტყოფი, ლილო, ტაბახმელა) ჭიანურდება ბოსტნეულის ჩითილების გადარგვა. მტს-ების ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა სწრაფად უნდა გამოასწორონ მდგომარეობა. ამჟამად ყველგან მასობრივად მიმდინარეობს ნათესების დამუშავება და ბოსტნეულის ჩითილების გადარგვა. მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ნათესების გაწმენდას სარეველა ბალახებისაგან. ეს პირველ რიგში ეხება გლდანის, ავჭალის, ლილოს, თელეთის, ორთაჭალის, ტაბახმელისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს.

გარკვეული მიღწევები გვაქვს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. მაგალითად, გასული წლის ოქტომბრიდან წელს მაისამდე თვითეული საფურაქე ძროხის წველადობამ 472 ლიტრი შეადგინა. ეს მაშინ, როცა წინა წლის შესაბამის პერიოდში საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში თვითეული ძროხის წველადობა საშუალოდ 245 ლიტრს არ აღემატებოდა. დიდად გაიზარდა ძროხის სულადობა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში. შეძენილ იქნა 300-მდე სული მაღალპროდუქტიული ძროხა. გაუმჯობესდა პირუტყვის კვება, მოვლა-პატრონობა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემოიღეს ძროხების ღამით ძოვება, შემცირდა ბერწიანობა. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ ორთაჭალის, მარტყოფის, ნორიოს, კუმისის, ლილოს, თელეთის, დიღმის, ავჭალის და სხვა კოლმეურნეობების წარმატებანი. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ თელეთის კოლმეურნეობაში, რომელმაც გასული წლის განმავლობაში თვითეულ ძროხაზე მიიღო მხოლოდ 580 ლიტრი რძე (950-ის ნაცვლად), განვლილ 7 თვეში უკვე მიღებულია 500 ლიტრი რძე. თუ შარშან აქ მოწველეს 28.000 ლიტრი რძე, მიმდინარე სამეურნეო წლის 7 თვეში მოწველილია თითქმის სამჯერ მეტი — 82.000 ლიტრი. ავიღოთ მეორე მაგალითი. მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს მიიღო 70 ათასი ლიტრი რძე, მაშინ როცა მიმდინარე სამეურნეო წლის მარტო 7 თვეში მოწველილი აქვთ 125 ათასი ლიტრი. მოწინავეთა შორის შეიძლებოდა დაგვესახელებინა ბევრი სხვა კოლმეურნეობაც, სადაც ნამდვილად შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მაგრამ პირველ წარმატებებთან ერთად, რომლებიც მოვიპოვეთ მარცვლეული მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, მთელი რიგი კოლმეურნეობების მუშაობაში ამ მხრივ არის სერიოზული ნაკლოვანებანიც.

სოფელ კიკეთის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (თავმჯდომარე ამხ. ბ. ლაგვილავა, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. წიკლაური) საჭირო ზომებს არ იღებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ამ კოლმეურნეობაში შარშან თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს მხოლოდ 460 ლიტრი რძე. მიმდინარე სამეურნეო წლის 7 თვეში მოწველეს 135 ლიტრი რძე და თვითდამშვიდებას მიეცნენ. აქ ჯერ კიდევ აქვს ადგილი დედაპირუტყვის დიდ ბერწიანობას, ნაკლები ყურადღება ექცევა პირუტყვის კვებასა და მოვლა-პატრონობას.

ცუდად იყენებენ წველადობის ამაღლების რეზერვებს ლისის, ბევრეთის, ნაზშირგორის, მსხალდიდის, ტაბახმელის, წყნეთის კოლმეურნეობები.

მიმდინარე წელს რაიონის მშრომელთა წინაშე კიდევ უფრო დიდი, სერიოზული ამოცანებია დასახული მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის წარმოების გადიდების საქმეში. ამას წინათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმები 1955-1960 წლებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პრაქტიკული ღონისძიებანი განხილულ იქნა კოლმეურნეობათა გამგეობების სხდომებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

ახლა რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები რაიონის მშრომელთა მთელ ძალებს წარმართავენ იქითკენ, რომ მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების გეგმები შესრულდეს არა 1960 წლისათვის, არამედ სამი წლით ადრე — 1957 წლისათვის.

აპრილის ბოლო რიცხვებში შედგა რაიონის მეცხოველეობის მუშაკთა თათბირი. თათბირმა მიიღო მიმართვა რაიონის მეცხოველეობის დარგის ყველა მუშაკისადმი ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლებისათვის და შეჯიბრებაში გამოიწვია მცხეთის რაიონი. მოწინავე მეცხოველეებმა ნ. ქაჯაიამ, მ. ივანიკოვამ, ს. მანუკიანმა, პ. წოწკოლაურმა, ნ. სავჩენკომ, თელი ასან ყზიმ და ბევრმა სხვამ ვალდებულება აიღეს თვითეულ ძროხაზე მოწველონ 2.500-3.000 ლიტრი რძე. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებამ უკვე მიმდინარე წელს საშუალება მოგვცა წარმატებით შეგვესრულებინა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის რძის, ხორცის, კვერცხის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები. აუცილებლად შესრულდება ნახევარი წლის დავალებებიც. ყველა ღონისძიებას განვახორციელებთ, რათა აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ნათესი სასოფლო-სამეურნეო კულტურები სანიმუშოდ დავამუშაოთ და შემდგომ უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს კარგად ესმით, რომ სოფლის მეურნეობის დარგში დასახული უდიდესი ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია, თუ კარგად არ არის დაყენებული პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლექტორებისა და რაიკომის ლექტორთა ჯგუფის ძალებით კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში წაკითხულ იქნა 89 ლექცია და მოხსენება მარტო პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გარშემო. ამ ლექციებს დაესწრო 6.400 მსმენელი. რაიონის მშრომელთა შორის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ხუთასამდე აგიტატორი, რომელთა საუბრის ძირითადი თემა სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის ღონისძიებათა საკითხებია. კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად ეწყობა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის მეცნიერულ-პოპულარული ფილმების დემონსტრაცია. რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი მასალების გამოფენა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანიც. ზოგჯერ სოციალისტური შეჯიბრება არ არის ქმედითი, მიზანსწრაფვი. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დიდ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ნაკლებად ეწყობა ლექციები უშუალოდ ფერმებში, ბრიგადებში, ზოგან დაბალია სააგიტაციო საუბრების იდეური შინაარსი.

გარეუბნის რაიონის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ რაიონის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანები, მისცენ სამშობლოს მეტი მეცხოველეობის პროდუქტები და ბოსტნეული.

**დ. გელაშვილი,**
საქართველოს კომპარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის



მახარაძის საბავშვო სახლი. სურათზე: აღსაზრდელები ათვალიერებენ კედლის გაზეთის ახალ ნომერს გამოკვრის წინ.
ფოტო ნ. ერქომაიშვილისა.

## დედის სიხარული

ვერ წარმომიდგენია ოჯახი, სადაც არ ისმოდეს ბავშვის ტიტინი, და იგი ბედნიერი იყოს. როდესაც ვუცქერი ერთად თავმოყრილ ჩემს შვილებს, ვუსმენ მათ საუბარს და სიცილს, სიხარულითა და ბედნიერებით ვივსები. ისინი ახლა თორმეტნი არიან. თვითეული მათგანი ჩემი სიცოცხლეა, მათზე ...

... რომ ჩვენი მაგიდის გარშემო გადიდდეს ცარიელი სკამების რიცხვი. ეს მარტო ჩემი სურვილი როდია, ეს სურვილია მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ზრუნავს თავისი ნათელი მომავლის — ბავშვების სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის.

ომმა თავისი დაღი დაასვა ჩემს ...

## შვილები

ღამით კავკასიონის მისადგომებთან საბრძოლო განგაშის შემდეგ უამრავ ბავშვს მოუყარეს თავი და სამშვიდობოზე გამოატანეს მატარებელს. ევაკუირებულ ბავშვებთან ერთად სხვადასხვა საბავშვო სახლიდან გადმოყვანილი ბავშვებიც იყვნენ.

მახარაძის საბავშვო სახლში ასამდე ბავშვი იყო ომამდე, ომის დროს კი თვე არ გავიდოდა ისე, ბავშვი რომ არ მოეყვანათ.

იმ ღამეს გვიანობამდე არ სძინებიათ მომვლელებს. ჯერ იყო ალექსი ჩერნიკოვი გააცილეს სადგურზე. ეს უკვე მეთექვსმეტე აღზრდილს გზავნიდა საბავშვო სახლი სამშობლოს დასაცავად. ამით ამაყობდნენ მომვლელები, მაგრამ გულს ულონებდათ ფიქრი: ვაი თუ... მერე კი, სახლის ხელმძღვანელებს აცნობეს, რომ დღეს ბავშვები ჩამოვლენო და დიდი მზადება იყო „შვილების“ დასახვედრად.

— ასე მგონია, ჩემი ბიჭები ბრუნდებიან „შინ“, — ამბობდა სახლის დირექტორი უმანკო ჰეიშვილი.

საძინებელ ოთახში ახალი საწოლები დაუდგათ, ზედ სუფთა ზეწრები გადაეფარებინათ, მომვლელი ქალი იჯდა და საბანს შალითას აკრავდა. პატარებს უკვე ეძინათ. დიდები სამუშაო ოთახში გამოცდებისათვის ემზადებოდნენ.

სახლის წინ მწვანე კომფორტაბელური მან- ...

## ციფრები და ფაქტები

... განათლებული მომავალი თაობის აღზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია. მარტო ჩვენი რესპუბლიკის 4000-ზე მეტ დაწყებითს, შვიდწლიან და სრულ საშუალო ...

... და საბავშვო ბაღების და ბაგების ქსელი. რესპუბლიკაში მოქმედებს 600-მდე საბავშვო ბაღი და 300-ზე მეტი საბავშვო ბაგა. ზაფხულის პერიოდში დამატებით იხსნება სეზონური საკოლმეურნეო საბავშვო ბაგები. გასულ წელს ...

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში 34 მუსიკალური სკოლა მუშაობს, მათში 9.000-მდე მოზარდი სწავლობს. წელს ამ სკოლებში 1.930 ბავშვს მიიღებენ.

... კავეები. ბიჭიკო ბოლქვაძე მაგიდას მისჯდომოდა და ფანქრით ფაქიზად ხატავდა. ფირუზას კი ხუთი წლის გულნაზისათვის ჩაევლო ხელი და ემუდარებოდა:

— გაიმეორე გულნაზი, რა? ai ასე: ლექსი ფირუზ ჩხაიძისა. პატარა გულნაზი იმეორებდა:

## მომავალი თაობის საკეთილდღეოდ

როცა წელს მაისში მოსკოვში ჩაველი როგორც მშვიდობის მომხრეთა სრულიად საკავშირო მეხუთე კონფერენციის დელეგატი, იქ მინახულეს დიდ სამამულო ომში დაღუპული ჩემი ვაჟის, საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის ფრონტელმა ამხანაგებმა. ჩვენ ვსაუბრობდით წარსულ ომზე, ჩემი შვილის უკანასკნელ დღეებზე, და გულში კვლავ პირს ...

თვითეული მათგანი ჩემი შვილი მგონია. ერთ დროს ისიც ხომ ასე დარბოდა სკოლის ეზოში, უზრუნველი და ბედნიერი. როგორ შეიძლება არ აღშფოთდეს ადამიანი, როცა ოკეანისგაღმელი ომისგამჩაღებლებისა და მათი დამქაშების შავბნელ ზრახვებს გაიგებს, როგორ შეიძლება არ აღიმაღლოს ხმა იმ გაუგონარი დანაშაულის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი, პირსისხლიან ...



ვ. ი. ლენინის სახელობის ბათუმის პიონერთა პარკი. სურათზე: საბავშვო თბომავალ „პიონერის“ ნორჩი მგზავრები.
ფოტო ნ. ანასტასიევისა.

## ბავშვების დასაცავად

მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ შემოიღო ომის საშიშროების ზრდასთან და ბევრ ქვეყანაში ბავშვთა მდგომარეობის საგრძნობ გაუარესებასთან დაკავშირებით ...

... დებით, მთელ მსოფლიოში 550.000.000 ბავშვი (ე. ი. ნახევარზე მეტი) მოწყვეტილია სწავლა-განათლებას. ამას, რასაკვირველია, გარდა მშრომელთა გაღატაკებისა, ხელს უწყობს სკოლების ნაკლებობაც და მასწავლებელთა დაბალი ხელფასი. ჟურნალ „დი შულეს“ ...

კაპიტალისტური ქვეყნის მრავალი ათასი ბავშვი, სწავლა-განათლებას მოკლებული, მშიერი და ტიტველი, იძულებულია შრომითი საქმიანობა 8-10 წლის ასაკში დაიწყოს. იტალიაში 10-14 წლის ასაკის 202.700 ბავშვი მოჯამაგირეობას ეწევა.

... სახურების ... ვების 40 ...

... მოსამსახურეების რეალური ხელფასი 46 პროცენტით გაიზარდა. ჩინეთში, განთავისუფლების წინა წლებთან შედარებით, საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა 96 პროცენტით იმატა, ... სკოლებში — 117, ...

კაპიტალისტური ქვეყნის მრავალმა დედამ იცის, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი, არსებობენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ქვეყნები, სადაც ყველა ბავშვი სწავლობს, სადაც სახელმწიფო ...

## საბჭოთა კავშირ-კორეის კომუნიკე

### საბჭოთა კავშირ-კორეის შერეულ საზოგადოებებში საბჭოთა მონაწილეობის წილის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ

სსრ კავშირის მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განიხილეს საბჭოთა კავშირ-კორეის შერეული საზოგადოებების: საზღვაო ტრანსპორტის ექსპლოატაციის საზოგადოებისა და ნავთობის გადამუშავების საზოგადოების საქმიანობის საკითხი, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ დაარსდა პარიტეტულ საწყისებზე.

რადგან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზაციებმა შეიძინეს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მართვის საჭირო გამოცდილება, საბჭოთა კავშირის მთავრობა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შეთანხმდნენ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაეცეს საბჭოთა კავშირ-კორეის აღნიშნულ საზოგადოებებში საბჭოთა მონაწილეობის წილი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის გადაცემული საბჭოთა მონაწილეობის წილის ღირებულებას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აანაზღაურებს მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირისათვის საქონლის მიწოდებით.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საზოგადოებებში საბჭოთა მონაწილეობის წილის გადაცემა იმას გამოხატავს, რომ სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობაა, და ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

## ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დაარსების 35 წლისთავის გამო

ჯაკარტა, 30 მაისი. (საკდესი). 29 მაისს ჯაკარტაში მერდეკის მოედანზე გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დაარსების 35 წლისთავს.

მიტინგზე გამოვიდა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი აიდიტი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. თავის სიტყვაში აიდიტმა გააშუქა ინდონეზიის კომპარტიის სახელოვანი გზა და დაწვრილებით ილაპარაკა მშრომელთა ამოცანებზე ინდონეზიის სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

აიდიტმა მოუწოდა ინდონეზიის მშრომელებს შექმნან მტკიცე ერთიანი ეროვნული ფრონტი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ერთიანობა ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე.

## იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის განცხადება

რომი, 29 მაისი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ, რომლის სხდომა 26 მაისს გაიმართა, გამოაქვეყნა განცხადება საერთაშორისო მდგომარეობისა და ახალი სიტუაციის შესახებ, რომელიც შეიქმნა ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

განცხადებაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, რომელსაც საბჭოთა კავშირმა კვლავ მტკიცედ შეუწყო ხელი თავისი მშვიდობის თანმიმდევრული პოლიტიკით, დიდმნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ევროპის ცენტრში იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებსაც სურთ სამხედრო ბლოკების გარეთ დარჩენა.

კომპარტიის ხელმძღვანელობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლა მოითხოვს „გადაისინჯოს იტალიის საგარეო პოლიტიკა, რომლის აგრესიული ატლანტიკის კურსი ამჟამად აშკარად იღუპება".

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ იმ მომენტში, როცა იქმნება ახალი უდიდესი შესაძლებლობანი იტალიის მშვიდობიანი ინიციატივისათვის იტალიის ახლანდელი მმართველები აშკარად აცხადებენ, რომ აპირებენ განამტკიცონ იტალიის კავშირი ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის პოლიტიკასთან. „ნაცვლად იმისა, რომ აწარმოონ მოლაპარაკება ლივორნოსა და ფრიულის რაიონში უცხოეთის იმ ბაზების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც იქ შეიქმნა ავსტრიაში ამერიკის საოკუპაციო ჯარების მომარაგების საბაბით, ემზადებიან იმისათვის, რომ ისინი გადააქციონ ახალ სამხედრო ბაზებად, რომლებიც განკუთვნილია იმავე საოკუპაციო ჯარებისათვის, რომლებსაც მოამარაგებენ, როგორც ეს ოფიციალურად განაცხადეს, ატომური იარაღით. ამრიგად, იტალია აშკარად უნდა გადაიქცეს იმ ატომური ომის ტრამპლინად, რომლის წარმოებასაც უცხო სახელმწიფოები აპირებენ".

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ იტალია უნდა წავიდეს სხვა გზით — თანმიმდევრული მოქმედების გზით, რომლის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის თანდათანობით შენელება ევროპის ყველა ქვეყნის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნით და მათი თანამშრომლობით, მიუხედავად ამ ქვეყნებში დამყარებული წყობილებისა.

## იტალიის სოციალისტური პარტიის განცხადება

რომი, 31 მაისი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მოუწოდებს პარტიის წევრებს კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიაში.

„მშვიდობისათვის, მასობრივი მოსპობის იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია, — ნათქვამია განცხადებაში, — ახლა შედის ახალ ფაზაში, რომელიც კიდევ უფრო ფართოდ უნდა განვითარდეს, ხოლო ამიტომ კიდევ უფრო მეტ ღონისძიებას მოითხოვს პარტიის თვითეული წევრისაგან და მთელი პარტიისაგან. პარტიამ უნდა შეიგნოს, რომ ეს კამპანია მისი საკუთარი საქმეა და შეესაბამება მის პრინციპებსა და მოქმედების პროგრამას. ამიტომ პარტიამ თავისი მაქსიმალური წვლილი უნდა შეიტანოს მშვიდობის მომხრეთა კომიტეტების საქმიანობაში და ხელი შეუწყოს ყველა ანალოგიურ ღონისძიებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს უაღრესად ფართო სახალხო ერთიანობის სულისკვეთებით".

„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია, — აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, — უნდა გახდეს კათოლიკე და ქრისტიან დემოკრატ მასებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარების საშუალება. მშვიდობის მნიშვნელობისა და მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მისწრაფების გაგება შეიძლება და კიდევაც უნდა იყოს საერთო და არ შეიძლება მათი რაიმე ხელოვნური განსხვავება. ამრიგად, ამ კამპანიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარტიის საქმიანობაში, რომელსაც იგი იწყებს თავისი 31-ე ყრილობის შემდეგ, აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სავსებით აშკარაა მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულია ახლანდელ საერთაშორისო ვითარებასთან და რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ განსაკუთრებული ენერგიით ხორციელდებოდეს კამპანიის ახლანდელი ფაზა".

განცხადებაში დასასრულ ნათქვამია:

დაძაბულობის შენელების პერსპექტივები, რომლებიც შეიქმნა უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, როგორიც არის: ერთი მხრივ ბანდუნგის კონფერენცია, ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადება, ცნობა ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ და, მეორე მხრივ, იტალიაზე ზეგავლენის გადიდება, აგრესიული ატლანტიკის პოლიტიკის და ომის სამზადისის გაძლიერება მის ტერიტორიაზე, აიძულებენ სოციალისტურ პარტიას გააფართოოს და განავითაროს ბრძოლა მშვიდობისათვის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კონკრეტული კამპანიის ფარგლებში და სხვა ანალოგიური ღონისძიებანი განახორციელოს უაღრესად ფართო საფუძველზე.

სოციალისტური პარტიის სამდივნო მოუწოდებს პარტიის წევრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშვიდობის მსოფლიო ასამბლეისათვის მზადებაში, რომელიც ჰელსინკში გაიმართება.

## დალესი უსწორებს ეიზენჰაუერს

ნიუ-იორკი, 29 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი" სარედაქციო სტატიაში კომენტარს უკეთებს სახელმწიფო მდივნის დალესის სიტყვებს იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, როცა იგი გასულ კვირაში პრეს-კონფერენციაზე ლაპარაკობდა ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოთა შესახებ, გულისხმობდა არა იმას, რაც „მან თქვა შექმნილი შთაბეჭდილების თანახმად" (პრეს-კონფერენციაზე ეიზენჰაუერმა ზოგადი სახით განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ვითარდება ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოთა ზოლის შექმნის იდეა).

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეიზენჰაუერის შენიშვნებმა საშინელი განცვიფრება გამოიწვია ბონის მთავრობის წრეებში, და შემდეგ წერს: „დალესმა ახლა განუცხადა გერმანელ ელჩს, რომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ გერმანიის 70-მილიონიანი მოსახლეობა ნეიტრალურ როლზე დათანხმდეს... დალესს არავითარი ლოგიკური მოსაზრება არ მოუყვანია ამ მტკიცების დასადასტურებლად. როგორც ჩანს, მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ გამოესწორებინა პრეზიდენტის სიტყვებით გამოწვეული შთაბეჭდილება. არსებითად ერთადერთი მოსაზრება, რომლის მოყვანაც დალესმა შეძლო თავისი იმ თეზისის დასადასტურებლად, რომ გერმანია არ შეიძლება ნეიტრალური იყოს, ის არის, რომ გერმანიის ნეიტრალიტეტი არ შეესაბამება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ახლანდელ მიზნებს და რომ შეერთებულ შტატებს არა სურთ, რომ გერმანია ნეიტრალური იყოს".

გაზეთის სიტყვით გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ახლა შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ადენაუერი ბრძანებებს იღებს სახელმწიფო დეპარტამენტისაგან, რადგან დალესი, როცა იგი „ცდილობდა რაციონალური ბაზა გამოენახა ეიზენჰაუერის სიტყვებისათვის", ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა იგი „გერმანიას ეუბნებოდა, თუ რას მოელიან მისგან შეერთებული შტატები".

დასასრულ გაზეთი ირონიულად შენიშნავს: „კარგი იქნებოდა, პრეზიდენტს რომ გულახდილად განეცხადებინა საზოგადოებრიობისათვის, რომ იგი თავის პოლიტიკას უფრო მას შემდეგ განმარტავს, როცა წაიკითხავს ნიუ-იორკის ხვალინდელ გაზეთებს და გამოარკვევს, თუ რაში მდგომარეობს ეს პოლიტიკა".

## ინდოეთის გაზეთი ნერუს მომავალ გამგზავრებაზე სსრ კავშირში

დელი, 29 მაისი. (საკდესი). გაზეთი „დელი ტაიმსი" სტატიაში სათაურით „ისტორიული ვიზიტი" წერს: „ნერუს მომავალი გამგზავრება რუსეთში ინდოელი ხალხის უდიდეს ინტერესს იწვევს. როგორც ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას რუს ხალხზეც. ინდოეთის განთავისუფლებაში რუსეთმა შეუმჩნევლად შეასრულა მეტად დიდი როლი. ეს ეხება აგრეთვე აზიისა და აფრიკის ყველა ქვეყანას". გაზეთი რუს ხალხს უწოდებს „მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა განმათავისუფლებელ მოძრაობათა მოწინავე რაზმს" და აცხადებს, რომ მეორე მსოფლიო ომში „მონობისა და დეგრადაციის საშინელ ტრაგედიას მსოფლიო გადაურჩა იმ უკვდავი როლის მეოხებით, რომელიც შეასრულეს მოკავშირეთა ჯარებმა რუსეთის არმიის მეთაურობით, რომლებმაც გაანადგურეს ბოროტი ძალები. სიმართლისა და სამართლიანობისათვის ამ ბრძოლაში ინდოეთმაც შეასრულა თავისი მცირედი როლი".

„ნერუ, — აღნიშნავს შემდეგ „დელი ტაიმსი", — უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს რუსეთის მთავრობისა და ხალხის დიდ მიღწევებს. ...რუსეთში ნამყოფი ინდოელები მეტად განცვიფრებული დაბრუნდნენ იმ კოლოსალური მიღწევებით, რაც რუსეთის მთავრობას ცხოვრების ყველა დარგში აქვს. ზოგიერთნი ისე არიან აღტაცებული რუსეთის მიღწევებით, რომ აცხადებენ: იქმნება არა მარტო ახალი ცივილიზაცია, არამედ ახალი სამყარო, თავისუფალი იმ ხელოვნური ბარიერებისაგან, რომლებსაც ქმნის წარმოშობა და საზოგადოებაში მდგომარეობა.

ფრანგი რევოლუციონერები იბრძოდნენ თანასწორობის, ძმობისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ეს მარადიული პრინციპები პრაქტიკულად განხორციელდა რუსეთში. ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა ზოგიერთ ინდოელს, რომელნიც რუსეთს ეწვიენ.

ნერუს შესაძლებლობა ექნება საკუთარი თვალით ნახოს ყოველივე ეს და მოელაპარაკოს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელებს. ინდოელი ხალხი, რომელსაც იმედი აქვს, რომ ორივე ქვეყნის ხალხები და მთავრობები კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს აზიისა და მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ, უდიდეს იმედს ამყარებს ამ გამგზავრებაზე. ეს ნამდვილად ისტორიული ვიზიტია, რომელიც შეიძლება გახდეს აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობიანი თანაარსებობის ახალი ხანის დასაწყისი".

## დასავლეთ გერმანიის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი ჯარის შეგროვების შესახებ

ლონდონი, (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბონიდან იუწყება, დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა ბუნდესრატში შეიტანა კანონპროექტი „მოხალისეთა ჯარების" შეგროვების შესახებ. „ეს კანონპროექტი, — ნათქვამია ცნობაში, — დასავლეთ გერმანიაში პირველი საკანონმდებლო ნაბიჯია, რომლის მიზანია პარიზის შეთანხმებათა განხორციელება".

რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ ადენაუერის მიერ შეტანილ კანონპროექტს ეწოდება „დროებითი", რადგან ძალაში დარჩება მხოლოდ მომავალი წლის 31 მარტამდე, და კანონპროექტში ნათქვამია, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნა დაიწყება „მოხალისეთა ნაწილების" შექმნით. მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი აპირებს ახლო მომავალში, შესაძლოა უკვე ივნისში წარადგინოს ფართო შეიარაღების კანონპროექტი და 500 ათასი კაცის რაოდენობით ჯარების პირადი შემადგენლობის ჯამაგირის კანონპროექტი.

## მეგობართა შეხვედრა

საბჭოთა და რუმინელ ფეხბურთელთა შეხვედრები ტრადიციულ ასპარეზობად გადაიქცა. ეს მატჩები ხასიათდება მაღალი სპორტული ბრძოლით და ყოველთვის მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს.

დიდი ინტერესი გამოიწვია 31 მაისს თბილისში გამართულმა საერთაშორისო ამხანაგურმა შეჯიბრებამ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდისა და თბილისის „დინამოს" შორის.

ასპარეზობას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. საპასუხო მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა რუმინეთის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. აპოსტოლი. ჟღერს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

რამდენიმე წუთის შემდეგ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ი. ვლჩეკის (ჩეხოსლოვაკია) სასტვენის ხმაზე მეგობრები მოედნის ცენტრში გამწკრივდნენ. დინამოელებმა სტუმრებს სამახსოვრო ვიმპელი და თაიგულები უძღვნეს.

გუნდების შემადგენლობაში იყვნენ: რუმინეთის „ლოკომოტივი" — გ. დუნგუ, დ. ვაკარჩი, დ. ვერზანი, დ. მაკრი, გ. ბუში, ა. ფერენცი, დ. კელინი, ნ. რომანი, ა. კოვაჩი, დ. ოიკე, ა. ბედიანცუ; თბილისის „დინამო" — მ. პირაევი, ... ... ... ... ველაძე, რ. მახარაძე, გ. ხოჭოლავა, ა. კოტ... კაძე, ი. ვარდიმიადი, ზ. კალოევი, ა. ღოღ... რიძე, ბ. ხასაია.

თამაშის პირველი წუთებიდანვე ... გუნდმა მაღალი ტემპი აიღო. საჯარიმო ... დნებზე შეიქმნა კრიტიკული მომენტები, ... რეები ჩაებნენ ბრძოლაში.

მე-6 წუთზე არც თუ ისე საშიში მდ... რეობიდან ნ. გაგნიძემ მეკარისათვის ბ... მიწოდების დროს დაუშვა უხეში შეც... რითაც უნაკლოდ ისარგებლა მარცხენა ... მარბმა ა. ბედიანცუმ და მ. პირაევთან ... პირ დარჩენილმა ახლო მანძილიდან გახსნა ... გარიში.

31-ე წუთზე დინამოელთა მიერ გათამა... ბული ერთ-ერთი კომბინაცია ი. ვარდიმია... დარტყმით და გოლით დამთავრდა.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 1:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარი თბილისე... იერიშით დაიწყო. სტუმრები თავიანთ ... შესანიშნავად იცავდნენ.

შესვენების შემდეგ 29-ე წუთზე ა. კოტ... კაძემ კარგად გამოიყენა ხელსაყრელი მ... ტი და მეორე ბურთი გაიტანა სტუმართა ... ში, მაგრამ რუმინელებმა მალე გაათანა... ანგარიში.

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ... ბურთში რუმინეთის სახალხო რესპუბლ... „ლოკომოტივის" ნაკრებ გუნდსა და თბ... სის „დინამოს" შორის დამთავრდა ფრედ 2...

## ევროპის პირველობა კრივში

ბერლინი, 30 მაისი. (საკდესი). 28 და 29 მაისს ბერლინში გრძელდებოდა შეჯიბრება ევროპის პირველობაზე კრივში. 28 მაისს საბჭოთა კავშირის გუნდის წევრთაგან გამოვიდა ორი მოკრივე — ბ. სტეპანოვი (მჩატე წონა) და ს. ისაევი (მეორე ქვესაშუალო წონა). ბ. სტეპანოვმა დაძაბული ბრძოლით დაამარცხა ფრანგი მოკრივე ჰალიმი. ს. ისაევმა გაიმარჯვა ლუქსემბურგის წარმომადგენელ გრიუნზე.

29 მაისს გამოვიდნენ საბჭოთა მოკრივეები ვ. სტოლნიკოვი (უმძიმესი წონა) და ნ. სმირნოვი (მსუბუქი წონა). ვ. სტოლნიკოვმა ქულებით დაამარცხა თურქეთის გუნდის წარმო... გენელი სევენტი. ნ. სმირნოვმა დაძაბულ ბრ... ლაში ქულებით წააგო შეხვედრა დასავ... გერმანიის 1953 და 1954 წლების ჩემპიონ ... შატთან.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის გუნდიდან ... ჯიბრებაში გამოვიდა 5 მოკრივე (რ. მურ... კასი, ს. ისაევი, ბ. სტეპანოვი, ვ. სტოლნი... და ნ. სმირნოვი). მათგან ოთხმა გაიმარჯვა ... წინააღმდეგზე და ამით უფლება მოიპოვა ... ნაწილეობა მიიღოს შემდგომ ბრძოლაში ევ... პის ჩემპიონის წოდებისათვის.

## უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის უცხოეთის კომისიამ მოაწყეს საღამო, მიძღვნილი ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა და ქართველი საბჭოთა მწერლების იმ ნაწარმოებთა განხილვისადმი, რომლებიც გამოცემულია უცხო ენებზე.

საღამომ დიდი აუდიტორია მიიზიდა. უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების დარბაზებში გამოფენილი იყო უცხოეთში 15 სხვადასხვა ენაზე გამოსული წიგნები.

მოხსენება გააკეთა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ დოცენტმა მ. ა. კვესელავამ. მან ილაპარაკა, თუ რა ინტერესს იჩენენ უცხო ქვეყნებში ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა და თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებისადმი. მაგალითად, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი" 10 უცხო ენაზე გამოვიდა. იგი ორ-ორჯერ გამოიცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, აგრეთვე ინგლისში, ინდოეთსა და არგენტინაში გამოიცა ლ. ქიაჩელის, ა. ბელიაშვილის, გ. გულიას ... სხვების ცალკეული ნაწარმოებნი.

საღამოზე 12 ენაზე წაიკითხეს ქართ... ლიტერატურის კლასიკოსებისა და ქართვ... საბჭოთა მწერლების იმ ნაწარმოებთა ნაწ... ტები, რომლებიც გამოიცა პოლონეთის სახ... ხო რესპუბლიკაში, უნგრეთის სახალხო რ... პუბლიკაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბ... კაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლ... ში, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჩე... სლოვაკიის რესპუბლიკასა და მთელ რიგ ... ქვეყნებში.

კერძოდ, წაიკითხეს შოთა რუსთაველის პ... მა „ვეფხისტყაოსნის", სულხან საბა-ორბელ... ნის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ლ. ქ... ჩელის, ა. ბელიაშვილის, კ. ლორთქიფანიძ... ი. ლისაშვილის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძ... ი. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის, გ. ... შიძის, ი. ნონეშვილის და სხვების ნაწარმ... თა ნაწყვეტები.

საღამოს მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ... რომ მტკიცდება საბჭოთა კავშირის კულტ... ლი ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან, ... ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებ... ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრ... ლობის განმტკიცების საქმეს. (საქდესი).

## ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 2 და 3 ივნისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა; სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით წვიმა, ალაგ-ალაგ ელჭექი. დასავლეთის ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 24-29 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 17-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა; დასავლეთ რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, აღმოსავლეთ რაი... ნებში უმეტესად უნალექოდ. დასავლეთის ... რი 3-7 მეტრი წამში, მტკვრის ხეობაში 7-... მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაი... ნებში ღამით 12-17, დღისით 25-30 გრად... მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 21-... გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

## ბავშვების მდგომარეობა კაპიტალის ქვეყნებში

ქალაქ კასაბლანკის ერთ-ერთი ქუჩის ტროტუარზე ზის შიმშილით გასიებული ორი ბავშვი. ისინი მოწყალებას ითხოვენ. მათი თიხის ფინჯანი ცარიელია. ბევრი ხალხი მიდი-მოდის მაგრამ არავინ არ აძლევს ბავშვებს ფულს ან ნატეხ პურს.

ასეთი სურათები ჩვეულებრივი მოვლენაა არა მარტო მაროკოს, არამედ იმ სხვა ქვეყნების ქალაქების ქუჩებშიც, რომლებიც დამოკიდებული არიან იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, აგრეთვე თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებში. ბურჟუაზიული სტატისტიკის აღიარებითაც კი, კაპიტალის ქვეყნებში 80 მილიონზე მეტი ბავშვი უკიდურესად მძიმე მატერიალურ პირობებშია — მათხოვრობს, შიმშილობს და სხვ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ბავშვები კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

გასული საუკუნის დამლევს ლონდონში გამოვიდა წიგნი სათაურით: „აფრიკელი დედების, ძუძუთა და უმცროსი ასაკის ბავშვების შიმშილობა". ამ წიგნში აწერილია ბავშვთა ტანჯვა კაპიტალისტური მონობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ რაიონში — აფრიკაში, ბავშვთა მდგომარეობა ინგლისისა და საფრანგეთის აფრიკის კოლონიებში ჭეშმარიტად საშინელია. შიმშილობს ბავშვთა 80 პროცენტი. ისინი ათასობით იხოცებიან. პატარების ნახევარი ისე იხოცება, რომ ხუთი წლის ასაკს ვერ აღწევს. ინგლისელი ჟურნალისტი იდრის კოქსი ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით ჟურნალ „უორლდ ნიუსში" წერდა: „როცა ამ წიგნს ვფურცლავდი დავრწმუნდი, რომ ძნელია მისი წაკითხვა ისე, რომ განუწყვეტლივ არ თრთოდე". იმპერიალისტთა აფრიკის კოლონიებში ბავშვები მეტად მძიმე მდგომარეობაში არიან, შიმშილობენ და შესაძლებლობა არა აქვთ სკოლაში ისწავლონ. ბრიტანეთის სომალში წერა-კითხვის უცოდინრობა 99 პროცენტს შეადგენს, ტუნისში ექვსასი ათასი ბავშვიდან სკოლაში სიარული შეუძლია მხოლოდ 60-მდე ათასს. ადმინისტრაციის ხარჯები სასკოლო განათლებისათვის ყველა კოლონიაში ნაკლებია, ვიდრე პოლიციის შენახვის ხარჯები.

აფრიკის ქვეყნებში ბავშვთა მდგომარეობა დამახასიათებელია ყველა სხვა კაპიტალისტური [illegible] მარეობა ევროპისა და ამერიკის ამ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზია ბატონობს.

შეერთებულ შტატებში, რომელთა შესახებ უცხოეთის მოსყიდული პროპაგანდისტები განუწყვეტლივ გაჰყვირიან როგორც ისეთ სახელმწიფოზე, სადაც ცხოვრების დონე მაღალია, — სწორედ ამ ქვეყანაში სწავლის შესაძლებლობა არა აქვს ექვს მილიონამდე ბავშვს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ არის გავრცელებული ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია. ამერიკის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ქალაქის მეურნეობაში დაქირავებით მუშაობს სამ მილიონზე მეტი ბავშვი და მოზარდი. ასეთ ბავშვთა შორის ბევრია შვიდი-რვა წლის ასაკისა. მცირეწლოვან „მუშათა" ოთხი მეხუთედი მუშაობს ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებაში. გოგონები და ბიჭები მოზრდილთა სამუშაოს ასრულებენ, შრომაში კი ერთიორად-ერთიოთხად ნაკლებს იღებენ. შეერთებულ შტატებში ორ მილიონზე მეტი ობოლია, რომლებიც ქუჩაში ათევენ ღამეებს.

ბავშვის შრომა, როგორც ყველაზე იაფი, გავრცელებულია არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, იაპონიასა და თურქეთში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა შვილების ცხოვრების პირობები უშუალოდ დაკავშირებულია გამალებული შეიარაღების შედეგებთან, რომელსაც იმპერიალისტები ახორციელებენ, გამალებულმა შეიარაღებამ გამოიწვია წარმოების შემცირება მრეწველობის მშვიდობიან დარგებში, მასობრივი უმუშევრობა, კვების პროდუქტების ფასების გადიდება.

ჟურნალი „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნი" ამას წინათ წერდა: „ინგლისის ბევრი ოჯახი, თუ მას ორი და მეტი შვილი ჰყავს, ღატაკობის დონესთან დგას ან შეიძლება ამ დონეზე დაბლაც აღმოჩნდეს:.. ისინი ფაქტიურად უკვე შიმშილობენ". ინგლისის მშრომელთა ბევრი ოჯახის ასეთი მდგომარეობა მეტად მძიმე გავლენას ახდენს ბავშვებზე. გლაზგოს ჯურღმულებში, სადაც მშრომელთა ათეულ ათასობით გაღარიბებული ოჯახი ცხოვრობს, ბავშვთა სიკვდილიანობა ოცდაათ პროცენტს შეადგენს.

კატასტროფულად დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის თურქეთი, სადაც წლის განმავლობაში 400 ათასამდე ახალშობილი იხოცება.

გაუხარელია ბავშვთა ცხოვრება იაპონიაში. აქ მოზარდები და ბავშვები, რომლებიც ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ, მუშათა საერთო რიცხვის თითქმის მეოთხედს შეადგენენ. ბევრი ღარიბი იძულებულია გაყიდოს თავისი შვილები; მარტო ერთი წლის მანძილზე იაპონიაში აღრიცხულია 11.200 ასეთი შემთხვევა.

შიში ახალგაზრდა თაობის მომავლისათვის აიძულებს ყველა უბრალო ადამიანს გააერთიანონ ძალღონე მშვიდობისათვის ბრძოლაში. შეუძლებელია ბრძოლა ბავშვთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, თუ არ გაძლიერდა მოძრაობა მშვიდობისათვის. ამიტომ სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ასობით მილიონ მშვიდობის მომხრეთა მოწოდება ახალი ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვისათვის.

ეს მოთხოვნები განსაკუთრებით მტკიცედ გაისმის დღეს, 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ვიხსნათ ბავშვები ტანჯვისაგან, რაც მათი ხვედრია კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, ვიხსნათ ბავშვები ომის საშინელებათაგან, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ — რა შეიძლება იყოს უფრო კეთილშობილური ამ ამოცანაზე, რომელსაც ხალხები ისახავენ. ამ ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებს მაგალითი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა სიცოცხლის, აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, სადაც იზრდებიან მსოფლიოში ყველაზე ბედ- [illegible]



[illegible]


**დისერტაციების დაცვა**

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წ. 10 ივნისს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**დიანა აკაკის ასული კაკაბაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ფრანსუა რაბლე როგორც მებრძოლი ჰუმანისტი".

1955 წ. 14 ივნისს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**იზრაილ აბრამის-ძე ფრაიმანი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Особенности хранения яблок Молдавии".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**თბილისის „დინამოს" სტადიონი**

4 ივნისს

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი

„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

დუბლიორთა შემადგენლობა დასაწყისი 5 საათზე.

„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი)

ძირითადი შემადგენლობა დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

წვიმიან ამინდის შემთხვევაში დუბლიორების თამაში გადატანილ იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს 2 ივნისს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა**

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევას.

**სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.**

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაწვრილებითი პირობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

**სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.**


ძმები ზაქარია, ვალოდია, ივანე, გრიშა, ... ნინო ოჯახით იუწყებიან **ნატაშა გრიგოლის ასულ ლოლობერიძე-აბაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VI ქ. ზესტაფონში, გამოსვენება თაბუკაშვილის ქ. № 43.

... და ოლია, ძმები ლადო, ვახტანგ ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ილარიონის-ძე მახარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VI, 8 ს. გამოსვენება 2-VI, 6 ს. ნინოშვილის ქ. № 49.

მუშა-ახალგაზრდობის მე-4 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან **ვალიკო ნიკოლოზის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VI, 8 ს. გამ... [illegible]


რედაქციის, გამომცემლობის და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. [illegible]

უე 04213

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.